პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 31 აგვისტო, 1946 წ. № 175 (7698). ფასი 20 კაპ.

ვამრავლოთ სტახანოველთა რიგები

გამარჯვებული საბჭოთა ხალხი დღეს აღნიშნავს დიადი სტახანოვური მოძრაობის მეთერთმეტე წლისთავს. 1935 წლის 30 აგვისტოს, ღამით, დონბასელმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია და დღიური დავალება 1.400 პროცენტით შეასრულა, რითაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

სტახანოვური მოძრაობა სწრაფად მოედო მთელ ჩვენს ქვეყანას. მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში გაჩნდნენ ათასობით სტახანოველები, წარმოების ნოვატორები, რომლებიც გეგმის შესრულების სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევდნენ.

ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა სტალინმა სტახანოველთა სრულიად საკავშირო პირველ თათბირზე 1935 წლის 17 ნოემბერს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში აღნიშნა: „სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ისეთ მოძრაობას, რომელიც ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, როგორც არასაკმარისს, აჭარბებს მთელ რიგ შემთხვევაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას და, ამრიგად, ჰქმნის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეძლებულ ქვეყნად გადაქცევის შესაძლებლობას“.

დიდი ბელადის ეს გენიალური შორსმჭვრეტელობა სავსებით გამართლდა. სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენი სამშობლო გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ამ ამოცანის გადაწყვეტაში სტახანოვურმა მოძრაობამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა.

სამამულო ომის წლებში, როცა მილიონობით მშრომელი პარტიისა და ხელისუფლების პირველი მოწოდებისთანავე ფრონტზე წავიდა სოციალისტური სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, როცა სახალხო მეურნეობა მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, სტახანოვურმა მოძრაობამ კვლავ შეასრულა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი. მან ყოველმხრივ შეუწყო ხელი ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმეს. ომის წლებში სტახანოვური მოძრაობა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. წარმოიშვნენ ხუთასოვნები და ათასოვნები, სტახანოვური ბრიგადები, ფართოდ დაინერგა მრავალდაზგისნობა, პროფესიათა შეთავსება, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, გაჩაღდა ბრძოლა ნაკლები მუშახელით საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ყოველივე ამან უზრუნველყო ჩვენი გმირი წითელი არმიის მომარაგება საჭურვლით, საომარი მასალით, სურსათ-სანოვაგით, დააჩქარა მტერზე გამარჯვება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას. „თუ წითელმა არმიამ შესძლო,—აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა,—წარმატებით შეესრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და განდევნა გერმანელები საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან, ეს მან იმის მეოხებით განახორციელა, რომ მას თავდადებულად ეხმარებოდა ზურგიდან მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი“. სტახანოველთა არმია საბჭოთა ხალხის ამ გმირული შრომის ავანგარდში იდგა.

უდიდესია სტახანოვური მოძრაობის როლი და მნიშვნელობა მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. ახალი ხუთწლედის მანძილზე ჩვენ არა მარტო უნდა აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის ომამდელი დონე, არამედ კიდევაც გადავაჭარბოთ მას.

მთელმა ჩვენმა ხალხმა ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღო, როგორც საბრძოლო პროგრამა. იგი ერთსულოვანი თავდადებით იბრძვის მისი წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და ახალ მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებათა ვადამდე და გადამეტებით შესრულებისათვის. ათეულ ათასობით სტახანოველი შრომის მაღალი ნაყოფიერების სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს. ცოტა როდია ისეთი სტახანოველი, რომელსაც ხუთწლედის პირველი წლის განვლილ თვეებში უკვე შესრულებული აქვს წლიური ნორმა. ხუთწლედის მეორე წლის დავალებაზე კარგა ხანია მუშაობს ბევრი სტახანოველი ჭიათურის მაღაროებში, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში, თბილისის დაზგათმშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებში. დიდი გადამეტებით ასრულებენ საწარმოო დავალებას თბილისელი და ქუთაისელი სტახანოველი ფეიქრები, მსუბუქი, კვების და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მოწინავე ადამიანები. დღითი დღე იზრდება სტახანოველთა რიგები. ჩვენ გვაქვს ისეთი საწარმოები, სადაც მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა მუშა სტახანოველი ან დამკვრელია, მრავლად გვყავს სტახანოვური ბრიგადები. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში 153 კაცს უკვე შესრულებული აქვს მიმდინარე წლის გეგმა. ამ ქარხნის მოწინავე სტახანოველებს ვ. კორძაძეს, გ. მელაძეს, ი. მირზოევს და მრავალ სხვას 2-3 წლის საწარმოო დავალებები აქვთ განაღდებული. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში წლიური დავალება ასზე მეტმა სტახანოველმა შეასრულა, ხოლო სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში—130-მა. იგივე შეიძლება ითქვას კალინინის სახელობის ქარხნის, თბილისის საორთქლმავლო დეპოს, ქარხანა „დაზგის“, სპილენძსატკეცი ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების სტახანოველთა მუშაობაზე.

მაღალნაყოფიერი შრომის სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე სტახანოველები. საქართველოში სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი ხოქოლი ქვაჩახია მთელი რიგი წლების განმავლობაში ჰექტარზე 600-700 ფუთ სიმინდს იღებს. წარჩინებული სტახანოველი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქსენია სარსანია ჰექტარზე 11 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს. წელს იგი იბრძვის ჰექტარზე 16-18 ტონა ჩაის ფოთლის მიღებისათვის. ჰექტარზე 800-1.200 ცენტნერ ჭარხალს იღებენ სტახანოველები ანა ხმიადაშვილი, მაქრო ბეგიაშვილი, მარო ჩადუნელი. სტახანოველმა კომბაინერებმა მიხეილ ლაზარიაშვილმა და მაქრო ნაცვლიშვილმა წელს 180 ჰექტარის ნაცვლად 500-600 ჰექტარი მარცვლეული აიღეს. ჩაის სტახანოველი მკრეფავები შურა ჩხაიძე, ნადია კუჭავა, ლიუდი ხურციძე ათასი და მეტი პროცენტით ასრულებენ ჩაის კრეფის გეგმებს. ჩვენს საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობას ათეულ ათასობით ჰყავს ასეთი სტახანოველები, საკოლმეურნეო შრომის ნოვატორები.

მაგრამ სტახანოვური მოძრაობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის, მისი კიდევ უფრო მასობრივ მოძრაობად გადაქცევის შესაძლებლობანი ამოწურული როდია. სტახანოვური მოძრაობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დანერგილი ჩვენი მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების უმრავლესობაში, საშენ მასალათა დამამზადებელ საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე. სტახანოვური მოძრაობისადმი ფორმალური მიდგომით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის ფაბრიკები არარენტაბელურად მუშაობენ და ზარალს აძლევენ რესპუბლიკას. სხვა უყაირათობასთან ერთად სტახანოვური შრომისადმი გულგრილი დამოკიდებულებითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თბილისის ქაღალდის ფაბრიკას ერთიორად მეტი უჯდება ტონა ქაღალდის წარმოება მის გასაყიდ ფასთან შედარებით.

საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ დახმარება სტახანოველებისადმი, უზრუნველყონ მუშათა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, მათ მიერ ტექნიკის უკეთ ათვისება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული კვალიფიციური მუშა სტახანოველი გავხადოთ. ეს შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს. საბჭოთა წყობილება და წარმოების სოციალისტური სისტემა, სადაც თვითეული მშრომელი მუშაობს თავისი სოციალისტური სამშობლოს და პირადად მისი კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, — ამ ამოცანის გადაჭრის საუკეთესო თავდებაა.

ყოველდღიურად ვამრავლოთ სტახანოველთა სახელოვანი რიგები, წარმატებით შევასრულოთ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება—აი ჩვენი საპატიო ამოცანა!

რეპარაციები და საბჭოთა კავშირი

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისიის სხდომაზე 28 აგვისტოს

ბატონო თავმჯდომარევ, საბჭოთა დელეგაცია მადლობას უძღვნის იმ დელეგაციებს, რომლებმაც, იუგოსლავიისა და ზოგიერთი სხვა დელეგაციის მსგავსად, სავსებით დაუჭირეს მხარი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადებას რეპარაციების საკითხში. დღეს ჩვენ ვაჯამებთ მომხდარი მსჯელობის შედეგებს.

I. საკითხის დიდი მნიშვნელობა

საბჭოთა დელეგაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეპარაციების საკითხს. ჩვენმა ქვეყანამ გერმანიისა და მისი სატელიტების ფაშისტური არმიების რამდენიმე მილიონი ჯარისკაცის შემოსევა განიცადა. ოკუპანტების შემოსევამ უდიდესი უბედურება მიაყენა მას. მათ მიერ მოხდენილ ნგრევას ახლაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით სსრ კავშირის ყველა დასავლეთ და სამხრეთ ოლქში. მთელი საბჭოთა ხალხი ახლა მკლავებდაკარწახებული მუშაობს მტრების ამ შემოსევის შედეგების ლიკვიდაციისათვის. ისევე როგორც სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის ხალხები მჭიდროდ დაირაზმნენ დიდი სტალინის გარშემო და ეწეოდნენ ძლევამოსილ ბრძოლას შემოსეული ოკუპანტების წინააღმდეგ, ისევე ახლაც, აი უკვე მეორე წელია, თავისი დიდი ბელადის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი თავდადებულად ახორციელებს თავისი ქვეყნის აღდგენის გეგმას. ჩვენს წინაშე დგას უდიდესი ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის აღდგენის საქმეში, დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეში, და ყველა საბჭოთა ადამიანი ამჟამად ჩაბმულია ამ აღდგენით შრომაში, გმირულ და გრანდიოზულ მუშაობას ეწევა თავისი ფაბრიკა-ქარხნების, დანგრეული ელექტროსადგურებისა და რკინიგზების, მილიონობით ოჯახთა დაქცეული და მოსპობილი კერების აღსადგენად. ამასთან ათეულ მილიონობით ადამიანი შეგნებულად ახორციელებს თავისი სამშობლოს ეკონომიური აღმავლობისა და განახლების ახალ სტალინურ გეგმას.

ამ პირობებში რეპარაციებს აქვს თავისი საკმაოდ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, აგრეთვე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ერთგვარ მორალურ კმაყოფილებას აძლევს ჩვენს ხალხს, რომელსაც არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ ის ქვეყნები, რომელთა ჯარებიც მრავალი თვის განმავლობაში თვითნებობასა და ნგრევას სჩადიოდნენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, დაუსჯელი დარჩნენ და არ იკისრონ თუნდაც ერთგვარი წილი მატერიალური პასუხისმგებლობისა იმ უბედურებისათვის, რაც საბჭოთა კავშირს მიაყენეს.

საბჭოთა კავშირის ხალხებში ყოყმანი არ არსებობს იმ ახალი გრანდიოზული ამოცანების განხორციელების საკითხში, რომლებიც დაისახა მათ წინაშე თავიანთი ქვეყნის სამეურნეო აღდგენისა და ტექნიკური განახლების საქმეში. თვით საბჭოთა სახელმწიფო ისეა მოწყობილი, მშრომელთა ისეთი მხარდაჭერით სარგებლობს და მას სათავეში უდგას ისეთი დიდი ბელადი, როგორიც არის სტალინი, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის აღდგენის საქმე საიმედო ხელშია და სწორ გზაზე დგას. ჩვენ შევეცდებით შევასრულოთ დაწესებული ხუთწლიანი გეგმა უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე დასახულია. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყანა მალე შესძლებს გადავიდეს ახალ, კიდევ უფრო გრანდიოზულ სამეურნეო ამოცანებზე, ვიდრე ეს ომის წინ იყო.

ცხადია, ჩვენ ვცდილობთ მოვიშოროთ ყველა დაბრკოლება და გართულება ამ გზაზე. რეპარაციების საკითხმა საზავო კონფერენციაზე ისეთი მიმართულება რომ მიიღოს, რომ რეპარაციების იმ ზომიერი საბჭოთა პრეტენზიების დაკმაყოფილებაც კი, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია საზავო ხელშეკრულებათა პროექტებით, დაბრკოლებებს წააწყდეს, — ეს შეუწყნარებელი ზიანი იქნება საბჭოთა ხალხისათვის. უაზრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საბჭოთა დელეგაცია არ შეეცდება დაიცვას თავისი ქვეყნის ეს კანონიერი და სამართლიანი ინტერესები. ჩვენ კვლავაც ასე მოვიქცევით, თუნდაც ეს ზოგჯერ არც მოსწონდეს ვინმეს, ვისაც უნარი არ შესწევს გაიგოს სრულიად ელემენტარული გარემოებანი, როცა საქმე ეხება სხვა ხალხების ინტერესებს.

II. პასუხი ავსტრალიის დელეგაციის დამცველებს

კომისიაში ორჯერ გამოვიდა საბერძნეთის დელეგაციის წარმომადგენელი შენიშვნებით ავსტრალიის შესწორების გამო და შეეცადა განემარტა თავისი თვალსაზრისი. საბერძნეთის დელეგატი გულმოდგინედ უსვამდა ხაზს, რეპარაციები აგრესიისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფოთათვის სამძიმო არ უნდა გავხადოთო. მაგრამ იგივე საბერძნეთის დელეგატი, როგორც ცნობილია, პატარა ბულგარეთისაგან მოითხოვს ერთ მილიარდ დოლარ ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 985 მილიონ დოლარ რეპარაციებს, არც მეტსა და არც ნაკლებს. ეს ციფრი, როგორც ეს აშკარაა, არაფერს არ ემყარება და მხოლოდ სხვისი დოვლათის წაგლეჯის თავშეუკავებელი მადის მაჩვენებელს წარმოადგენს. აქედან აგრეთვე ჩანს, რომ საბერძნეთის დელეგაცია დიდ წინააღმდეგობაში ჩავარდა, როცა იგი ერთის მხრივ ამბობს რეპარაციების საკითხში ფრთხილად უნდა ვიყოთო, ხოლო მეორე მხრივ სავსებით განუსჯელ მოთხოვნებს უყენებს თავის მეზობლებს. ამას უნდა დავძინოთ, რომ საბერძნეთის დელეგაციას არ გამოუთქვამს მოსაზრება ავსტრალიის დელეგაციის წინადადებათა წინააღმდეგ, რაც მისი პოზიციის ფრიად დამახასიათებელია.

კანადის დელეგაციამ განაცხადა, რომ კონფერენციამდე მას სწორად მიაჩნდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებანი, აქ კი, როცა პოლონეთის დელეგაციის ერთი მცირე შენიშვნის არსებობა შეიტყო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა მხარი დაუჭიროს ავსტრალიის შესწორებას რეპარაციათა საკითხების კომისიის შექმნის შესახებ. აგრეთვე მოგეხსენებათ, რომ კანადის დელეგაციამ ვერც კი მოასწრო ასეთი სწრაფი მხარდაჭერა აღმოეჩინა პოლონეთის დელეგაციისათვის, რომ ამ უკანასკნელმა თვითონ უარჰყო თავისი წინადადება. გამოურკვეველია, როგორ მოიქცევა ახლა თვით კანადის დელეგაცია, მაგრამ კანადის დელეგაციის პოზიცია ერთგვარად დამახასიათებელია — დამახასიათებელია თავისი არასიმტკიცით, მერყეობით, უკანდახევისათვის და ერთი რელსიდან მეორეზე გადასვლისათვის მზადყოფნით! ორი წლის წინათ, როცა ხელს აწერდნენ დროებითი ზავის პირობებს, და ჯერ კიდევ გუშინ, სადავო საკითხზე პოლონეთის მცირე შესწორებამდე, კანადას სწორად მიაჩნდა რუმინეთისათვის დადგენილ რეპარაციათა ოდენობა და ამ რეპარაციების გადახდევინების წესი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ შეიძლება დაენდო ამ თანხმობას. ახლა კანადის დელეგაციამ, რომლის პოზიციის მერყეობა რეპარაციების საკითხში ჩვენ ყველამ დავინახეთ, თვითონ უნდა დააღწიოს თავი იმ მდგომარეობას, რაშიაც იგი მოექცა.

ჩემი პირველი განცხადების გამო აქ გაკეთებულ იქნა მთელი რიგი შენიშვნები, რომლებზეც შეჩერება მომიხდება.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი იცავდა ავსტრალიის დელეგაციას, განსაკუთრებით იცავდა მის უფლებას შემოიტანოს შესწორებანი და ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს საბჭოთა დელეგაცია სადავოდ ხდიდეს ამ უფლებას. ამავე დროს კი, საბჭოთა დელეგაციას არც უფიქრნია სადავოდ გაეხადა ავსტრალიის, ისევე როგორც ყოველი სხვა დელეგაციის უფლება — შემოიტანონ თავიანთი წინადადებანი და შესწორებანი. ყოველ დელეგაციას შეუძლია შემოიტანოს არა მარტო სწორი, არამედ არასწორი წინადადებაც. ეს სრული მისი უფლებაა. მაგრამ, მეორე მხრივ, ვის შეუძლია სადავოდ გახადოს ჩვენი უფლება — გავაკრიტიკოთ ასეთი წინადადებანი? თუ რამე წინადადება შემოაქვთ, აშკარაა, იგი იმისათვის შემოაქვთ, რომ თავისუფლად განიხილონ და მოისმინონ ის შენიშვნები, რომლებიც შეიძლება ამ წინადადების გამო გაკეთდეს. ეს შენიშვნები შეიძლება მოგწონდეს, შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კრიტიკის უფლება კონფერენციის დელეგატთა არანაკლებ კანონიერი უფლებაა.

ჩვენი დელეგაციის შენიშვნები ავსტრალიის წინადადების გამო, ისევე როგორც თვით წინადადების შინაარსი, გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. რატომ არ უნდა გამოაქვეყნოს თავის მხრივ, ავსტრალიის დელეგაციამ ის შენიშვნები, რომლებიც მან თავის წინადადებათა დასაცავად გააკეთა, და საბჭოთა დელეგაციის პასუხის შინაარსი. დაე ხალხმა განსაჯოს, რა არის სწორი ავსტრალიისა და საბჭოთა დელეგაციების წინადადებებში და რა არის არასწორი. თქვენ მოგეხსენებათ—კონფერენციის დაწყების წინ უცხოეთის ზოგიერთ გაზეთში ხმა გაავრცელეს, რომ აი საბჭოთა დელეგაცია კონფერენციის სხდომებზე, კომისიების სხდომებზე პრესის წარმომადგენელთა დასწრების წინააღმდეგიაო. კონფერენციაზე ამ საკითხის პირველად დასმისთანავე საბჭოთა დელეგაციამ განმარტა, რომ ეს ცრუ ხმაა, რომ ვიღაცამ გაავრცელა ეს ხმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ გვახარებს ჩვენს კომისიაში პრესის წარმომადგენელთა დასწრება. ჩვენ კმაყოფილი ვიქნებით, თუ როგორც ავსტრალიის დელეგაციის თვალსაზრისი, ისე საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი ამ საკითხზე დაწვრილებით გაშუქდება პრესაში. თუ პრესის წარმომადგენლები დაეხმარებიან ამათუიმ პოზიციის ობიექტურად გაშუქებას დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ეს ფრიად სასარგებლო იქნება. არ უნდა გვეშინოდეს პრესისა, არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ პრესაში მსჯელობა იქნება კონფერენციაზე განსახილველი არსებითი საკითხების შესახებ, და ამასთან სწორად იქნება ნათქვამი, რა წინადადებებია ამათუიმ დიდმნიშვნელოვან საკითხზე და რა მოსაზრებები არსებობს ამ წინადადებათა წინააღმდეგ. ეს მხოლოდ სასარგებლოა საქმის გასარკვევად და ყოველგვარი ჭორებისა და ცრუ ხმების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან ხალხს გაერკვეს ნამდვილ მდგომარეობაში.

აქ ზოგი ამბობდა, რომ არ უნდა გამოითქვას აზრები ამათუიმ შემოტანილ წინადადებათა მოტივებზე. შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენ არაფერი გვესაქმება იმასთან, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდა ესათუის დელეგაცია, როცა თავისი წინადადება შემოჰქონდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გვაინტერესებს, რა თქმა უნდა, არა სიტყვიერი ფორმა ამ წინადადებებისა, არამედ მათი ნამდვილი არსი.

ავსტრალიის დელეგაცია ამბობს, რომ იგი პრინციპულად რეპარაციების მომხრეა. მაგრამ გაიხსენეთ, რაში მდგომარეობს მის წინადადებათა არსი, და ცხადი გახდება, რომ სინამდვილეში ეს წინადადებანი რეპარაციების ლიკვიდაციას ნიშნავენ. ეს იმას ჰგავს, რომ ვინმემ მეგობრულად სკამი შესთავაზოს თავის მეზობელს, ხოლო როცა იგი ამ სკამზე დაჯდომას მოისურვებს, უცებ, ვთქვათ, ხუმრობით, აიღოს და განზე გასწიოს ეს სკამი. ასეთ შემთხვევებში ძნელია სიტყვას დაენდო, არამედ სჯობია უკან მოიხედო, რომ ცუდი ხუმრობის მსხვერპლი არ გახდე, თუნდაც რომ ასეთი ხუმრობა მეგობარმა ჩაიდინოს. აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ ამათუიმ წინადადების არსზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი სიტყვიერი ფორმის მიხედვით, არამედ უნდა გავერკვეთ ამ წინადადების ნამდვილ შინაარსში და გავაკეთოთ აქედან ჯეროვანი დასკვნები, თუნდაც რომ ეს ვინმეს არც მოსწონდეს. აქ იმასაც ამბობდნენ, თითქოს არ შეიძლება ეჭვის გამოთქმა იმ საკითხზე, რომ გამოხატავს თუ არა ესათუის დელეგაცია თავისი ხალხის აზრს. მაგრამ შეუძლებელია დავეთანხმოთ იმას, რომ ასე შეზღუდონ დელეგატების აზრის გამოთქმა. დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ საშუალებანი, შევამოწმოთ, გამოხატავს თუ არა ესათუის წარმომადგენელი ხალხის ნამდვილ ნებას. რატომ არ შეიძლება ზოგჯერ კიდევაც დავსვათ ასეთი საკითხი, თუ ამისათვის სერიოზული საფუძვლები არსებობს? დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ ისეთი მდგომარეობის გამოსწორების სავსებით შემუშავებული, პრაქტიკულად ნაცადი მეთოდებიც, როცა ესათუის წარმომადგენელი არ გამოხატავს ხალხის ფართო წრეების აზრს, არამედ გამოხატავს მხოლოდ ამათუიმ ჯგუფის აზრს. როგორც მოგეხსენებათ, შარშან ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე, რომელიც სულ ორ კვირას გაგრძელდა, კონფერენციის დასაწყისში ჩვენ ვხედავდით დიდი ბრიტანეთის ერთ წარმომადგენლებს, ხოლო კონფერენციის ბოლოს უკვე სხვა წარმომადგენლებს, ვინაიდან ხალხმა ფრიად არსებითი შესწორება შეიტანა პარლამენტის შემადგენლობაშიც და მთავრობის შემადგენლობაშიც, ხოლო შემდეგ — დელეგაციის შემადგენლობაშიც. აქვე უნდა ითქვას, რომ ამან დადებითი გავლენა მოახდინა ბერლინის კონფერენციის მუშაობის შედეგებზეც. დემოკრატიულ ქვეყნებში ზოგჯერ არცთუ ისე ძნელია ხალხის ნამდვილი აზრის გამორკვევა, ხოლო მაშინ შეიძლება გამონახულ იქნას დაშვებულ უსწორობათა და შეცდომათა გამოსწორების სათანადო გზებიც. დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებს ამის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეთ. აქედან, სხვათა შორის, გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება უარვყოთ მათი უფლება — გამოსთქვან ზოგჯერ ეჭვი, გამოხატავენ თუ არა ესათუის წარმომადგენლები თავისი ხალხის ნამდვილ ნებას.

III. რეპარაციები და სახალხო მეურნეობის აღდგენა

ისეთი შენიშვნებიც იყო, რომ ჩვენ მეტისმეტად დიდ ყურადღებას ვაქცევთ რეპარაციების საკითხსო. საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება ამას.

მე მესმის, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს შეიძლება უფრო აინტერესებდეთ რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის, ვთქვათ, არა 22-ე მუხლი (მუხლი რეპარაციების შესახებ), არამედ, ვთქვათ, 26-ე მუხლი, რომელშიც ლაპარაკია მოკავშირე და შეერთებულ სახელმწიფოთა უფლებაზე „აიღონ, დააკავონ, ლიკვიდაცია უყონ ან ყოველი სხვა ნაბიჯი გადადგან რუმინეთისა და რუმინელ მოქალაქეთა მთელი საკუთრების, უფლებებისა და ინტერესების მიმართ“ ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. მათთვის ეს, შესაძლოა, უფრო არსებითი საკითხი იყოს. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ვის შეუძლია ხელი შეგვიშალოს ჩვენ დავიცვათ ის, რაც ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის კანონიერ და სამართლიან უფლებებს შეეხება?

მივმართოთ ფაქტებს.

საბჭოთა კავშირში, როგორც ჩემ მიერ მოყვანილი დოკუმენტებიდან მოგეხსენებათ, უცხოელმა დამპყრობლებმა ომის დროს დაანგრიეს 31.850 სამრეწველო საწარმო, მათ შორის ბევრი დიდი ქარხანა და ფაბრიკა. ამ საწარმოებში ომამდე მუშაობდა 4 მილიონამდე მუშა. ამან შეარყია ჩვენი მრეწველობა. შეერთებულ შტატებში, საბედნიეროდ, მტრის შეჭრა არ მომხდარა. შეერთებულ შტატებში ამავე წლების მანძილზე ბევრი ახალი საწარმო აშენდა. ამ წლების მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობა მნიშვნელოვნად განვითარდა, ისეთ სიმძლავრეს მიაღწია, როგორიც ამერიკაშიც არასოდეს ყოფილა. იქ აშენდა ახალი ქარხნები არა მარტო სამშვიდობო პროდუქციისათვის, არამედ აგებულია სამხედრო მრეწველობის ახალი მძლავრი ქარხნებიც, ალბათ ყოველი შემთხვევისათვის, მომავალი დროისათვის. ეს საყოველთაოდ ცნობილია.

საბჭოთა დელეგაცია იმედოვნებს, რომ სწორად იქნება გაგებული ჩვენი მისწრაფება რაც შეიძლება მალე მოვუღოთ ბოლო იმ ნგრევას, რაც ომმა მოგვიტანა, და ჩვენი სურვილი—სამისოდ გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა, მათ შორის ის შედარებით მცირე სარეპარაციო გადასახდელებიც, რომლებიც გათვალისწინებულია დროებითი ზავის პირობებით. და, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერაგზით ვერ დავეთანხმებით იმ წინადადებებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცხოვრების აღდგენას, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ სამეურნეო ცხოვრების აღდგენა სსრ კავშირის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს. ჩვენ გვაკმაყოფილებდა ის გარემოება, რომ ჩვენი უფლება რეპარაციების მიღებისა აღიარეს დროებითი ზავის ყველა პირობაში როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისე დიდმა ბრიტანეთმა. ჩვენ გავუგეთ ერთმანეთს, გამოვნახეთ საერთო ენა.

მაგრამ ავსტრალიის დელეგაცია სხვა ენით ალაპარაკდა. იგი აქ ისეთი წინადადებებით გამოვიდა, რომლებიც მიმართული იყო ამ შეთანხმების ლიკვიდაციისაკენ. ავსტრალიის დელეგაცია გამოვიდა ისეთი წინადადებებით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან არა მარტო საბჭოთა კავშირის თვალსაზრისს, არამედ განსხვავდებიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის თვალსაზრისისგანაც ამ საკითხებში, ეწინააღმდეგებიან დროებითი ზავის პირობებსაც და საზავო ხელშეკრულებათა პროექტებსაც. ჩვენ თავის დროზე საერთო ენა გამოვნახეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან ამ და ბევრ სხვა საკითხში. ავსტრალიის დელეგაცია კი სხვა ენით ალაპარაკდა, რომელსაც სულ სხვა აზრი აქვს.

ამ სხვა, სსრ კავშირისათვის მიუღებელი ენით ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ივიწყებს, როგორ მიმდინარეობდა ომი და რა როლს ასრულებდა ესათუის ქვეყანა მოკავშირეთა საერთო გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში, ვინც აგრეთვე ივიწყებს იმ მსხვერპლს, რაც ჩვენ ფაშიზმთან ომმა მოგვიტანა. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვიტყვით ჩვენს აზრს და ჩვენს შეფასებას მივცემთ ასეთ მდგომარეობას. ავსტრალიის დელეგაციის შესწორებათა ენა ის ენა არ არის, რომლითაც ჩვენ ომის დროს ვლაპარაკობდით, როგორც მოკავშირენი, ეს ის ენაა, რომელსაც არ შეუძლია გააერთიანოს, არამედ შეუძლია მხოლოდ გათიშოს მოკავშირენი, გათიშოს გაერთიანებული ერები.

რაც შეეხება ომის შედეგების ლიკვიდაციას, უნდა განვაცხადო, რომ ყველა პირობაში ჩვენ იმედი გვაქვს პირველ რიგში ჩვენი საკუთარი ძალებისა და არა რეპარაციებისა. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის აღდგენის საქმეში ერთგვარ დახმარებას გაგვიწევენ რეპარაციებიც. მაგრამ მთავარი, რის იმედიც ჩვენ გვაქვს — ეს არის ჩვენი საბჭოთა ხალხი, ჩვენი სტალინური ხუთწლედები და ის, რომ ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების მთელ საქმეს, ისევე, როგორც ეს ომიანობის ქარიშხლის პერიოდში იყო, ხელმძღვანელობს ჩვენი დიდი ბელადი, ჩვენი სტალინი, რომელიც უზრუნველჰყოფდა წინათ და უზრუნველჰყოფს ახლა ჩვენი ხალხის ურყევ შემჭიდროებას შრომაში, ომის შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენაში და ჩვენი სახელმწიფოს სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ აყვავებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამავე დროს ეს შეესაბამება სხვა ხალხთა ინტერესებსაც, რომელნიც მზად არიან მხარდამხარ იარონ მშვიდობისა და უშიშროების ინტერესთა დაცვის საქმეში და ხალხთა შორის ისეთი ურთიერთობის დამყარების საქმეში, რაც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საუკეთესო მისწრაფებებს შეესაბამება.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

სამხედრო კომისიაში

პარიზი, 26 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). სამხედრო კომისიას დღეს უნდა განეხილა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების სამხედრო მუხლები. მაგრამ, ისევე როგორც წინა სხდომაზე, იგი არ შესდგომია თავის ძირითად მუშაობას, ვინაიდან მთელი სხდომა დასჭირდა პროცედურის საკითხების განხილვას. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ გამოაქვეყნა ცნობა საზავო ხელშეკრულებათა პროექტების თაობაზე ყოფილი მტრული ქვეყნების შენიშვნათა მოსმენის წესის შესახებ, რომელიც გენერალურმა სამდივნომ წამოაყენა, საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა გენერალმა სლავინმა შეიტანა ასეთი წინადადება: კომისიის მუშაობას მსვლელობა რომ არ გაჭიანურდეს, საჭიროა განხილულ იქნას ყოფილი მტრული ქვეყნების მხოლოდ ისეთი შენიშვნები, რომლებსაც მხარს დაუჭერს კომისიის ერთი ან რამდენიმე წევრი და რომლებიც როგორც შესწორებანი შეტანილ იქნებიან მათი სახელით.

ეს წინადადება დაემთხვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის წინადადებას და მას მხარი დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა შეიტანა საწინააღმდეგო წინადადება: განხილულ იქნას ამ კომისიის არაწევრ სახელმწიფოთა, აგრეთვე ყოფილ მტრულ სახელმწიფოთა დელეგაციის ყველა წინადადება და შენიშვნა, მაგრამ კენჭი ეყაროს მხოლოდ ისეთ წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებსაც მხარს დაუჭერენ კომისიის წევრები. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა, ერთის მხრით, ერთმანეთში აურია უშუალოდ საზავო ბრძოლის მონაწილე სახელმწიფოები და ყოფილი მტრული სახელმწიფოები და, მეორე მხრივ, წინადადება წამოაყენა დაიწყოს საერთო დისკუსია ყველა შენიშვნის გამო, რისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, რაც იწვევს კომისიის მუშაობის გაჭიანურებას.

ამ ორი საწინააღმდეგო წინადადების გამო კამათს დიდი დრო დასჭირდა, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების წინადადება. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ კენჭი ეყარათ მისი წინადადებისთვისაც. მაგრამ უკვე გვიან იყო და ამიტომ კომისიამ შესწყვიტა მუშაობა.

რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთისათვის შექმნილ ეკონომიურ კომისიაში

პარიზი, 27 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთისათვის შექმნილი ეკონომიურ საკითხთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე გრძელდებოდა რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის სარეპარაციო პირობების შესახებ ავსტრალიის დელეგაციის მიერ შეტანილი შესწორების განხილვა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია ავსტრალიაზე ბევრად უფრო დაინტერესებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიური კეთილდღეობით. ავსტრალიის წინადადებებს შეუძლიათ შექმნან საშიში პრეცედენტი. იმისათვის, რომ ყოფილი მტრული ქვეყნების ეკონომიკას შეეძლოს ჯანსაღ საფუძვლებზე განვითარება, საჭიროა დაწესდეს სარეპარაციო გადასახდელთა ზუსტი თანხა. არ შეიძლება ამ თანხის დაწესება გადაეცეს სპეციალურ ორგანოებს, როგორიც იქნებოდა სარეპარაციო კომისია, რომლის შექმნის წინადადებასაც ავსტრალიის დელეგაცია იძლევა. ასეთი ორგანოს შექმნას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის აზრით, სარეპარაციო კომისია განახორციელებდა მუდმივ ზეგავლენას რუმინეთის ეკონომიკაზე, მისი სუვერენიტეტის საზიანოდ. ავსტრალიის შესწორებით გათვალისწინებული პრინციპი რეპარაციების დოლარებითა და გირვანქა სტერლინგებით გადახდისა ეწინააღმდეგება ყირიმისა და ბერლინის კონფერენციების დადგენილებებს სარეპარაციო გადასახდელების ნატურით გასტუმრების შესახებ. ეს პრინციპი რუმინეთს ახალ მოვალეობებსა და საზრუნავს დააკისრებდა, რაც [...]

[...] ლეგაცია, უზომო აქტივობას არ გამოიჩენდა, მიმდინარე კი სულ სხვა რამ გამოვიდა.

ტარასენკო აღნიშნავს, რომ ავსტრალიის დელეგაციას, რომელიც წინააღმდეგია მინისტრების საბჭოს პროექტით გათვალისწინებულ რუმინეთის რეპარაციების საერთო თანხისა, სურს შეავიწროს ამ თანხის შემცირება. „რატომ სურს ავსტრალიის დელეგაციას,—აყენებს კითხვას ტარასენკო,—რომ ყოფილი აგრესორი პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენოს დაზარალებულ ქვეყნებთან შედარებით?". ავსტრალიის წინადადებათა აზრი ის არის, რომ ჩამოართვას რეპარაციები ან გამოიყენოს ისინი რუმინეთზე ზეგავლენისათვის. ეს წინადადებანი ნიშნავს რუმინეთის ეკონომიური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას.

კომისიაში შექმნილ საერთო განწყობილებასთან დაკავშირებით კანადის დელეგატმა განაცხადა, რომ მხარს ვერ დაუჭერს ავსტრალიის შესწორებას და ხმას მისცემს მის წინააღმდეგ. ამავე დროს მან იმის სასარგებლოდ გამოსთქვა აზრი, რომ შეიქმნას სარეპარაციო კომისია განსაზღვრული უფლებებით.

ბელორუსიის დელეგატმა ნოვიცკიმ ხაზი გაუსვა, რომ სარეპარაციო საკითხი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხია ბელორუსიისათვის. ბელორუსიაში მომხდარი ნგრევისათვის პასუხისმგებლობის წილი რუმინეთსაც ეკისრება. ავსტრალიის წინადადებანი სარეპარაციო საკითხს არსებითად ლიად სტოვებენ და აჭიანურებენ მის გადაწყვეტას. საზავო კონფერენციას კი მიზნად აქვს გადასწყვიტოს მტკიცე მშვიდობის შექმნასთან დაკავშირებული ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი. მაშასადამე, ავსტრალიის შესწორება არ შეესაბამება [...]

[...] სენკომ. ავსტრალიის დელეგაცია აცხადებს, რომ „პრინციპულად" იგი არ არის რეპარაციების წინააღმდეგი, ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ვარაუდობს რეპარაციების მიღებას შემდეგში გერმანიისა და იაპონიისაგან. მოსალოდნელი იყო, რომ რუმინეთის რეპარაციების საკითხში ავსტრალიის დელეგაცია, ამ საკითხით ყველაზე ნაკლებ დაინტერესებული ქვეყნის დე[...]

[...] ლობას იჩენენ ყოფილი აგრესორი ქვეყნებისადმი და ავიწყდებათ, რომ აგრესიის მსხვერპლთ უფლება აქვთ მოითხოვონ სამართლიანი დამოკიდებულება მათდამი.

სიტყვით გამოსულ არცერთ ორატორს მხარი არ დაუჭერია ავსტრალიის შესწორებისათვის. განხილვის გაგრძელება გადადებულია ხვალისათვის.

ავსტრალიის დელეგაციას არევ-დარევა შეაქვს იტალიის საზღვრების საკითხებში

იტალიისათვის შექმნილი პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისია დღეს დილით შეუდგა საზავო ხელშეკრულების პროექტის პირველი ნაწილის განხილვას, რომელიც იტალიის საზღვრებს ეხება.

ავსტრალიის დელეგაციას არ დაუწყია ლოდინი, ვიდრე კომისია შეუდგებოდა საზავო ხელშეკრულების პროექტის იმ მუხლების განხილვას, რომლებიც იტალიის საზღვრებს შეეხება, და გამოვიდა მოთხოვნით გადაიდოს ამ მუხლების განხილვა და დაუყოვნებლივ შეიქმნას „გამომკვლევი კომისია", რომელმაც უნდა „გამოიკვლიოს" ყველაფერი, რაც ეხება საზღვრების სადავო საკითხებს, შეამოწმოს მინისტრების საბჭოს მიერ წარმოდგენილი მთელი მასალა და წარუდგინოს კონფერენციას თავისი რეკომენდაციები, ანგარიში არ გაუწიოს მინისტრების საბჭოს წინადადებებს და ამ საბჭოს მიერ საზღვრების საკითხთა მოსაგვარებლად გაწეულ მუშაობას.

ავსტრალიის დელეგაციის წარმომადგენელი, რომელმაც მხარი დაუჭირა თავისი დელეგაციის წინადადებას, მკვირალა სიტყვით ყოველნაირად შეეცადა მინისტრების საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის დისკრედიტაციას და ამ მუშაობის შედეგებს ეჭვის ქვეშ აყენებდა. „ჩვენ არ ვიცით,—სთქვა მან,—ეს გადაწყვეტილებანი სერიოზული შესწავლის შედეგი იყო თუ ისინი ლურჯი ციდან აიღეს". იგი ამტკიცებდა, კომისიის წევრებს საკმაო ცოდნა არა აქვს იმისათვის, რომ გაერკვნენ საზავო ხელშეკრულების პროექტში დაყენებულ ტერიტორიულ პრობლემათა არსში. „რომელმა თქვენგანმა იცის, ბატონებო, თუ სად არის მონ-ტაბორი?",—იკითხა მან, ახსენა რა საფრანგეთ-იტალიის საზღვრის ერთ-ერთი რაიონი, რომელიც საზავო ხელშეკრულების პროექტშია მოხსენებული.

ამის შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელი ვიშინსკი.

ა. ვიშინსკის გამოსვლა

ავსტრალიის დელეგაციას, სთქვა ვიშინსკიმ, წინადადება შემოაქვს დაუყოვნებლივ შეიქმნას „გამომკვლევი კომისია". საბჭოთა დელეგაციას ეს არასწორად და მიუღებლად მიაჩნია. საბჭოთა დელეგაცია საჭიროდ სთვლის გაგვახსენოთ, რომ იმ საკითხთა შესწავლაზე, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს საზავო ხელშეკრულების პროექტის მეორე და მესამე მუხლებში, ძლიერ გულ[...]

[...] ლაფერს თავისი ხელით შეეხოს. მაგრამ ხომ არ შეიძლება ყველაფერი ხელახლად გადაკეთდეს, ანგარიში არ გაუწიოს იმას, რაც უკვე გაკეთებულია, ყველაფერს მივუდგეთ შეზღუდული პროვინციელების თვალსაზრისით, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ მსოფლიო მათგან იწყება და რომ ყველაფერი მათით განისაზღვრება, რომ სწორედ მათ უპყრიათ ხელთ ყველა კლო[...]

გაგახსენოთ, რომ არცოდნა, უვიცობა არგუმენტი არ არის.

ხაზი გაუსვა რა იმას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ გულდასმით მოამზადა თავისი წინადადებანი, ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა დაწყებულიყო მათი არსებითი განხილვა. საქმე უნდა ეხებოდეს იმას, რომ წინ ვიაროთ და არა მთელი მუშაობა ხელახლა დავიწყოთ.

ავსტრალიის დელეგაციამ, განაგრძო ვიშინსკიმ, წინადადება შემოაქვს შეიქმნას კომიტეტი „სადავო საკითხების" შესასწავლად, მაგრამ რომელ საკითხებს სთვლის იგი სადავოდ? დაე სთქვას, ჩვენ მათ განვიხილავთ და გამოვარკვევთ, მართლა სადავოა ისინი თუ არა. იქნებ თქვენ უკმაყოფილო ხართ საფრანგეთ-იტალიის საზღვრის პროექტით? იქნებ თქვენ უკმაყოფილო ხართ მცირე სან-ბერნარის გასავლელის, მონ-სენის პლატოს, მონ-ტაბორ-შაბერტონის და სხვ. საკითხის გადაწყვეტით, მაშინ წამოაყენეთ თქვენი წინადადებანი! მაგრამ თქვენ მათ არ აყენებთ, კაკუმალულად თამაშობთ და იმავე დროს წინადადება შემოგაქვთ შეიქმნას რაღაც „მუდმივი კომიტეტი", რომელიც „საერთოდ" იმუშავებს სადავო საკითხების განხილვაზე. ასეთ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს ერთი მიზანი—მუშაობის შეფერხება, და არა მუშაობის დაჩქარება.

ჩვენ გვეუბნებიან, ამ კომიტეტმა თავისი რეკომენდაციები უნდა წარმოადგინოსო. მაგრამ რა საჭიროა ახალი რეკომენდაციები, როცა უკვე არის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადებანი, რომლებშიც ერთი შესწორებაც არ არის შეტანილი? მე მესმის, რომ შეიძლება შემოტანილი ყოფილიყო წინადადება შეგვექმნა კომიტეტი, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მინისტრების საბჭოს წინადადებანი არადამაკმა[...]

[...] ყოფილებელთა და საჭიროა ახალ წინადადებათა მომზადება. მაგრამ ამჟამად არაფერი ამის მსგავსი არ არის. მინისტრების საბჭოს წინადადებანი მტკიცედ რჩებიან, ხელუხლებელნი და ურყევნი, ჩვენ კი გვთავაზობენ შეიქმნას კომიტეტი ახალ წინადადებათა გამოსამუშავებლად. და ამას გვთავაზობენ როგორც კონფერენციის მუშაობის ვითომდა დაჩქარების საშუალებას. ჭეშმარიტად, კონფერენციის ზოგიერთ წევრს უცნაური წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის „ჩქარა" და რა არის „ნელა", რა არის „წინ" და რა არის „უკან", რა არის „სასარგებლო" და რა „საზიანო".

საბჭოთა დელეგაციის სახელით ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა უარყოფილ იქნას ავსტრალიის დელეგაციის წინადადება, არ შეიქმნას არავითარი კომიტეტები ან კომისიები, არამედ დაწყებულ იქნას კონკრეტული მუშაობა, თავი დაანებონ პაექრობას ქსელს, ხელი აიღონ სიტყვებითა და ფრაზებით ფარიკაობაზე და დაადგნენ საზავო ხელშეკრულების პროექტის მუხლობრივი კონკრეტული განხილვის გზას.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა მაკნეილმა, რომელმაც ვიშინსკის შემდეგ აიღო სიტყვა, თანაგრძნობა გამოუცხადა ავსტრალიის დელეგაციას. მაგრამ აღიარა ვიშინსკის არგუმენტების სამართლიანობა. მან სთქვა, რომ „გამომკვლევი კომისიის" შექმნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ავსტრალიის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე საფრანგეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. მაგრამ ავსტრალიის დელეგატები ჯიუტობდნენ. მათ საჩქაროდ შეიტანეს ახალი წინადადება, რომელიც არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა თავდაპირველი წინადადებისაგან.

[...] ალიარებულია და არც ერთ დელეგაციას კონფერენციაზე არ განუცხადებია, რომ სსრ კავშირის პრეტენზიები უსამართლოა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია „შეშფოთებულია დისკუსიების ზოგიერთი ასპექტით", სცადა დამშვიდებოდა ავსტრალიის დელეგაციას და დაეცვა იგი კრიტიკისაგან. მან განაცხადა, რომ მისი აზრით, არ შეიძლება შეკითხვის მიცემა, თუ ვინ წაიქეზა ავსტრალიის დელეგაცია წამოეყენებინა შესწორებანი და რა მოტივებით ხელმძღვანელობდა იგი ამ დროს. მაგრამ თავისი გამოსვლის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ავსტრალიის დელეგაციის წინადადებების მიღება არ შეიძლება და ისინი უარყოფილ უნდა იქნენ.

ინგლისის დელეგატმა აღნიშნა, რომ იგი თანაუგრძნობს „მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ავსტრალიის დელეგაცია". მაგრამ მანაც აღიარა, რომ მისი შესწორებანი მიუღებელია. საფრანგეთის დელეგატიც ამ შესწორებათა წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ მხარი დაუჭირა იმას, რომ განხილულ იქნას საკითხი მუდმივი სარეპარაციო ორგანოს შექმნის შესახებ „სარეპარაციო პროგრამის თვალყურის სადევნებლად და განსახორციელებლად".

ვერ ჰპოვა რა ვერავითარი მხარდაჭერა, ავსტრალიის დელეგაცია იძულებული გახდა მოეხსნა თავისი შესწორებანი. მაგრამ ავსტრალიის დელეგაციის წარმომადგენელმა იქვე განაცხადა, რომ იგი ხსნის ამ შესწორებებს მხოლოდ რუმინეთთან ხელშეკრულების პროექტის მიმართ. ამრიგად, ავსტრალიის დელეგაცია უკან იხევს ერთ კომისიაში და განაგრძობს სხვა კომისიების მუშაობის შეფერხების ტაქტიკას.

სხდომის ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მოლოტოვმა, რომელმაც ანალიზი გაუკეთა დისკუსიების შედეგებს რეპარაციების ძირითადი პრინციპების საკითხის შესახებ.

* * *

რამდენადაც ავსტრალიის დელეგაცია განაგრძობდა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების მიმართ თავის შესწორებათა [...]

რა სურს ავსტრალიის დელეგაციას

ვიშინსკიმ ხელმეორედ აიღო სიტყვა და ამხილა ეს უხერხული შენიღბვა.

— ცვლილებანი ავსტრალიის დელეგაციის წინადადებაში, — სთქვა მან, — არსებითად არაფერს არ სცვლიან. წინათ წინადადებას აყენებდნენ შეგვექმნა კომიტეტი „დაუყოვნებლივ", ახლა კი წინადადებას იძლევიან შევქმნათ იგი „დღეს". წინათ ამბობდნენ, კომიტეტმა „რეკომენდაციები" უნდა წარმოადგინოსო, ახლა კი წინადადებას იძლევიან ვთქვათ —„მოხსენებები". მეორე წინადადება იმდენადვე მიუღებელია, როგორც პირველი.

(სამხრეთ აფრიკის კავშირი) სცადა შეეჩერებინა ორატორი, რომელიც ძლიერ დაშორდა განსახილველ საკითხს, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ შესძახა (ადგილიდან): „ითხოვთ ნუ შეზღუდავთ ორატორს, დაე ილაპარაკოს რამდენიც უნდა და რაც უნდა". გაბახებულმა ავსტრალიელმა ორატორმა, რომელსაც ბევრმა დელეგატმა სიცილი დააყარა, საჩქაროდ დაამთავრა თავისი სიტყვა.

ამის შემდეგ ავსტრალიის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი ხსნის თავის წინადადებას. [...]

[...] ხელმძღვანელმა გადასწყვიტა მოეწყო კამლის ფარდა ამ უკანდახევის დასაფარავად. მან წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიც უხვად იყო ანტისაბჭოთა გამოლაშქრება და ცილისწამებლური მტკიცება საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელების მიმართ. მაგრამ ავსტრალიის დელეგატის ცილისმწამებლურმა გამოლაშქრებამ ვერ დაფარა ავსტრალიის გეგმის ჩაფუშვა.

ბიზლის ცილისმწამებლურ გამოლაშქრებათა დროს კომისიის თავმჯდომარემ იგლანდმა [...]

[...] ხილულ იქნა ზოგიერთ სხვა კომისიაში. ბოლოს და ბოლოს, აქაც ისევე, როგორც სხვა კომისიებში, საქმე გათავდა უმნიშვნელო სარედაქციო შესწორებებით. კომისიამ განიხილა აგრეთვე რუმინეთის დელეგაციის მემორანდუმი, ხოლო შემდეგ გადავიდა ხელშეკრულების პირველი ნაწილის განხილვაზე, რომელიც რუმინეთის საზღვრებს ეხება. დღეს შესდგა აგრეთვე საზავო ხელშეკრულებათა სამხედრო მუხლების განმხილველი კომისიის სხდომა.

* * *

პარიზი, 28 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გრძელდებოდა საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განსახილველად კონფერენციის მიერ შექმნილი კომისიების მუშაობა. კომისიების მუშაობა წინანდებურად დიდი უჩქარებლობით ხასიათდება. ზოგიერთი მათგანი აქამდე გართულია მხოლოდ პრეამბულების (შესავალი ნაწილების) განხილვით, ხოლო ფინეთისათვის შექმნილი პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისია ჯერ ერთხელაც არ შეკრებილა. მუშაობა ჭიანურდება, კერძოდ, იმიტომ, რომ ზოგიერთი დელეგაცია, როგორც ავსტრალიისა, კომისიებს ტვირთავს შესწორებებით, რომლებიც მიმართულია მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მაშინაც კი, როცა ერთი ან რამდენიმე კომისია უარჰყოფს ამ შესწორებებს, ისინი დაჟინებით ცდილობენ გაატარონ შესწორებანი სხვა კომისიებში. ეს ტაქტიკა მთლიანად დაეტყო დღევანდელ სხდომებსაც.

[...] მირისა და პოლანდის დელეგაციებმა.

* * *

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომმა გაზეთმა „მონდმა" დღეს სტატიაში, რომელიც მიძღვნილია რეპარაციების მუხლების მიმართ ავსტრალიის შესწორებებისადმი, აღნიშნა: „ავსტრალია, მგონი, ლაპარაკობდა ორი დიდი ანგლოსაქსური სახელმწიფოს სახელით".

კიდევ უფრო გარკვევით დაახასიათა ავსტრალიის დელეგაციის როლი გაზეთმა „ფრონ ნასიონალმა". ლაპარაკობს რა იმის შესახებ, რომ ავსტრალიის დელეგაციას სურს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს იგი გამოდის მცირე სახელმწიფოების სახელით, გაზეთი სწერს: „ნამდვილად მისი შესწორებანი სასარგებლოა არა პატარა ქვეყნებისათვის, არამედ ბევრი ინგლისელი და ამერიკელი ბანკირისათვის, რომლებიც მხოლოდ მოგებას ნახულობენ იმით, რომ რეპარაციებს გადაიხდიან გირვანქა სტერლინგებით და დოლარებით და არა ნატურით. ვერავის ვერ მოატყუებს დაზარალებული ქვეყნების ეკონომიურ საჭიროებათა ეს მოულოდნელი [...]

დისკუსია რეპარაციების შესახებ

რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისია დღეს [...]

[...] აგონა, რომ ავსტრალიის დელეგაცია წინადადებას იძლევა — განისაზღვროს ყოფილი მტრუ[...]

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომიდან

პარიზი, 29 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს შესდგა სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა.

საბჭოს სხდომაზე მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილება:

„1. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ უნდა დაავალოს მოადგილეებს განიხილონ კონფერენციის წევრების, აგრეთვე მოკავშირე და ყოფილი მტრული სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა შესწორებანი და ახალი წინადადებანი, რათა გამოარკვიონ, რომელ მათგანს შეუძლია ჰპოვოს საბჭოს წევრთა საერთო მხარდაჭერა. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო უნდა შეიკრიბოს ხოლმე არაოფიციალურ სხდომებზე იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულ შესწორებებსა და ახალ წინადადებებზე თავიდან აიცილოს აზრთა სხვადასხვაობა და მოიწონოს მოადგილეთა რეკომენდაციები.

2. თუ მინისტრების საბჭოს წევრებს შორის კიდევ დარჩება აზრთა სხვადასხვაობა შესწორებათა გამო, საბჭოს წევრებმა მაინც უნდა დაუჭირონ მხარი საზავო ხელშეკრულებათა პროექტების შეთანხმებულ მუხლებს, მაგრამ ამავე დროს უფლება დაიტოვონ ხმა მისცენ თავიანთი შეხედულებისამებრ იმ საკითხებზე, რომლებსაც შეთანხმებული მუხლები არ მოიცავენ".

პოლონეთის ვაშინგტონის საელჩოს განცხადება პოლონეთისათვის გადაცემული ამერიკის ნოტის გამო

ვაშინგტონი, 27 აგვისტო. (საქდესი). პოლონეთის საელჩომ გამოაქვეყნა განცხადება იმ ნოტის გამო, რომელიც ამერიკის მთავრობამ გასულ კვირაში პოლონეთს გადასცა პოლონეთში მომავალი არჩევნების თაობაზე. განცხადებაში ნათქვამია:

„ნოტამ, რომელიც გასულ კვირაში ამერიკის ელჩმა პოლონეთში ლეინმა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ვარშავაში, პოლონეთის მთავრობა გააკვირვა. ამგვარი ნოტა მოულოდნელი იყო და მისი გადაცემა ამჟამად არაფრით არ არის გამართლებული. ამით აიხსნება, თუ დღემდე რატომ არ გასცა პოლონეთის მთავრობამ ოფიციალური პასუხი ამ ნოტაზე, რომელსაც ესაჭიროება გულდასმით შესწავლა და ყურადღებით განხილვა. მაგრამ უკვე ამჟამად შეიძლება ავტორიტეტულად განვაცხადოთ, რომ პოლონეთის მთავრობა ამ ნოტას განიხილავს, როგორც პოლონეთის სუვერენულ უფლებათა დარღვევას და მის შინაურ საქმეებში ჩარევას".

პოლონეთის საელჩო ეხება იმ გარემოებას, რომ ამერიკის ნოტაში მოხსენიებულია ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებლობა, რაც ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, და თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებებში არ არის არავითარი დებულება, რომელიც ითვალისწინებდეს მეთვალყურეობას პოლონეთის საარჩევნო კანონისადმი ან პოლონეთის პარტიული პოლიტიკისადმი. საარჩევნო კანონს საბოლოოდ დაამტკიცებს კრაიოვა რადა ნაროდოვა ვარშავაში მომავალ სხდომებზე. „ყოველივე იმიდან, რაც უკვე ცნობილია კრაიოვა რადა ნაროდოვას სპეციალური კომისიის მიერ საარჩევნო კანონის პროექტის შემუშავების შესახებ, — ნათქვამია განცხადებაში, — ცხადია, რომ ეს კანონი ნაკლებ დემოკრატიული არ იქნება, ვიდრე ბევრ დასავლეთ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით. ამერიკის ნოტაში ნახმარი ცდა გამოსთქვას აზრი მომავალი საარჩევნო კანონის დებულებებზე, სრულიად არ შეესაბამება იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებს [...]

[...] ნოტა არა მარტო ცდილობს უცხოეთის მეთვალყურეობა დაწესდეს არჩევნების წინ, „არამედ წარმოადგენს პოლონეთის შინაურ პარტიულ პოლიტიკაში და პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აშკარა ჩარევას იმ პარტიებისათვის აშკარა დიპლომატიური მხარდაჭერის აღმოჩენის გზით, რომლებიც იმით არიან ცნობილნი, რომ არ ეთანხმებიან კოალიციური მთავრობის უმეტესობის შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებს არჩევნების საკითხში".

ასიათასიანი მიტინგი ათენში

ათენი, 29 აგვისტო. (საქდესი). გუშინ ათენში შესდგა მემარცხენე რესპუბლიკელების ინიციატივით მოწვეული 100-ათასიანი მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს: ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სოფიანოპულოსმა, ელდის (სახალხო დემოკრატთა კავშირის) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ცირიმოკოსმა და ამის მდივანმა პარცალიდისმა. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკისათვის ბრძოლა არის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობიანი პროგრესისათვის. მიტინგის მონაწილეებმა ორატორებს უპასუხეს შეძახილებით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!", „მოგვშორდნენ ისინი (ინგლისელები)!".

საქალაქო ჟურნირი გრონინგენში

[...]

სტახანოვური მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლით უზრუნველვყოთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის დავალებათა ნარგაჯებით შესრულება

ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐ-ᲥᲐᲚᲗᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

მამა-შვილი

მამა-შვილი—ესე და სერგო სოფრომაძეები წამყვანი კვალიფიკაციის მეშახტეები არიან. მათი სახელი მუდამ ამშვენებს ტყიბულელ მეშახტეთა რიგებს.

ესე სოფრომაძე სამი ათეული წელია შახტში მუშაობს. 160-200 პროცენტით ასრულებს წლიურ გეგმებს. სისტემატურად უზიარებს თავის საწარმოო გამოცდილებას ახალგაზრდა მუშებს. სამამულო ომის წლებში ის მეომრის თავდადებით იბრძოდა მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის. გაორკეცებული ენერგიით მუშაობს ახლაც. ესემ 1946 წლის დავალება უკვე გაანაღდა 169 პროცენტით. აპრილში დავალების შესრულებას 96 პროცენტით გადააჭარბა, რითაც შახტის საუკეთესო მნგრეველის საპატიო წოდება მოიპოვა.

სანგრევში აფეთქების ხმა გაისმა. ლავის ძირში ხრიალით დაეშვა „შავი ოქრო". სანგრევი აზვავდა. ეს წარჩინებული სტახანოველის — ესე სოფრომაძის მარჯვენის შრომის ბარაქაა. ახლად აფეთქებული სანგრევის გამაგრებას შეუდგა ახალგაზრდა მეშახტე. იგი მუშაობს დინჯად, ყველა წვრილმანს ყურადღებას აქცევს, ზუსტად იცავს უსაფრთხოების წესებს.

— ვინ არის ეს ახალგაზრდა?

— ესეს შვილი—სერგო სოფრომაძე. იგი ომის დროს დაეუფლა მებიგეობას. კარგად იცის ქვანახშირის ნგრევაც. მეოთხე ხუთწლედის დავალებებს ყოველთვის სასახელოდ ასრულებს. 7 თვეში 1946 წლის დავალება 111 პროცენტით გაანაღდა. მარტში, მაისში, ივნისსა და ივლისში ზედიზედ ინარჩუნებდა საუკეთესო მებიგის საპატიო სახელს.

სერგო სოფრომაძე ამასწინათ საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღეს.

— მთელ ჩემს ძალასა და ენერგიას მოვახმარ მეოთხე სტალინური ხუთწლედის გეგმის განხორციელებას. სასახელოდ ვიბრძოლებ იმისათვის, რომ შესრულდეს ქართველი ხალხის სამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითება საქართველოში ქვანახშირის ამოღების სამმაგად გადიდების შესახებ, — განაცხადა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა სერგო სოფრომაძემ, როცა მას ბოლშევიკური პარტიის რიგებში იღებდნენ.

სტახანოველი მამა-შვილი—ესე და სერგო სოფრომაძეები კულტურულად ცხოვრობენ. აქვთ კარგად მოწყობილი ბინა. მათი ხელფასი მაღალია. 7 თვეში 29.860 მანეთი გამოიმუშავეს.

იმატოს თქვენი მარჯვენის ბარაქამ, სტახანოველო მეშახტეებო!

დ. ქათამაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ჩემი შრომის ნაყოფი

ექვს თვეს ვსწავლობდი საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. შემდეგ დამოუკიდებლად დავიწყე მუშაობა ორ დაზგაზე. თავიდანვე მონდომებით მოვკიდე ხელი და კიდეც დავეუფლე ქსოვის რთულ საქმეს.

მიღებული გამოცდილება არ მაკმაყოფილებდა და გადავწყვიტე სწავლა განმეგრძო. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ორ წელს ისევ ვსწავლობდი საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. გადავედი ოთხ დაზგაზე სამუშაოდ. 1944 წლიდან ბრიგადირი ვარ. იმავე წლის მესამე კვარტალში ჩემმა ბრიგადამ საბჭოთა კავშირის მასშტაბით მქსოველთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

სამი წლის მანძილზე საფაბრიკო შეჯიბრებაში ჩემი ბრიგადა მუდამ პირველ ადგილზეა. 1946 წლის პირველ კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დავიკავეთ და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროდან 3.000 მანეთი ჯილდო მივიღეთ.

ჩემი ბრიგადის ხუთივე წევრი სახელმოხვეჭილი სტახანოველის მარიამ ვოლკოვას მეთოდით მუშაობს. ყველა ოთხდაზგოსანია. ვსწავლობთ ქვეოსტატის კურსებზე ოსტატ პ. ყიფიანის ხელმძღვანელობით და სისტემატურად ვიმაღლებთ კვალიფიკაციას. პირადად მე ლემზე მოვამზადე ოცი მოწაფე, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ გეგმებს.

პარტიამ და ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცეს ჩემს შრომას. დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის". დაჯილდოებული ვარ აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის წარჩინებული მუშაკის საპატიო ნიშნით.

1946 წლის იანვრიდან ყოველთვიურ დავალებას 140-150 პროცენტით ვასრულებ. სტახანოველთა საკავშირო დღის აღსანიშნავად ჩემი ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი, 1946 წლის მეორე ნახევრის გეგმა 5 დეკემბრისათვის შევასრულო.

ლ. ასათიანი

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტახანოველი.

პირველობის შენარჩუნებისათვის

ბავშვობიდანვე ჩემი მიზანი იყო ფეიქრის საპატიო პროფესია ამეთვისებინა. სრულიად ახალგაზრდამ დავიწყე მუშაობა თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში. ეს იყო 1930 წელს.

ყოველწლიურად ვიმაღლებდი კვალიფიკაციას, ვეუფლებოდი მქსოველის რთულ პროფესიას. ახლა უკვე პირველი ხარისხის მქსოველად ვითვლები. ერთდროულად 4 დაზგაზე ვმუშაობ. დედა-სამშობლოს ვუმზადებ მაღალხარისხოვან კრეპდეშინის ქსოვილს. თვიურ გეგმას 150-160 პროცენტით ვასრულებ. წელს კრეპდეშინის ქსოვის 5 ოსტატი მოვამზადე.

სტახანოველთა დღის აღსანიშნავად ვალდებულება ვიკისრე ჩემს ცვლაში მომუშავენი ყველანი სტახანოველები გახდნენ. თავისუფალ დროს ჩამორჩენილი მქსოველების კვალიფიკაციის ამაღლებას მოვანდომებ. ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას მათ გავუზიარებ.

წელს ჩვენმა ფაბრიკამ ფეიქართა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ორჯერ მოიპოვა პირველი ადგილი. მე, როგორც სტახანოველს, მახარებს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის გამარჯვება. მომავალშიც მთელი ენერგიით ვიბრძოლებ პირველობის შენარჩუნებისათვის და მაღლა ვატარებ მოწინავე სტახანოველის საპატიო სახელს.

ეკატერინე ურთიაშვილი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი.

მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის გამოჩენილი სტახანოველები — პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ხეიკალები დ. მირგატია, გ. კოკოზაშვილი (26 კომისრის ქარხანა); ზეინკალი ბეჟუაშვილი, შემდუღებელი ა. მარშანია (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა); ზეინკალი ა. ბენდიანიშვილი, ხარატი ი. პეტრიაევი (კიროვის სახელობის ქარხანა). მეორე რიგში — მეშახტე ს. ლანჩავა (ტყიბული); ე. ურთიაშვილი (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა); ლ. ასათიანი (მაუდ-კამვოლის ფაბრიკა); ჩაის მკრეფავი შურა ჩხაიძე, მაღალი მოსავლის ოსტატი ტ. აბუბაია, კომბაინერი მ. ლაზარიაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საკოლმეურნეო სოფლის ნოვატორები

საკოლმეურნეო სოფლის სტახანოველებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი გახდა ზუგდიდელი კოლმეურნის, სტალინური პრემიის ლაურეატის ლენინის ორდენოსან ქსენია სარსანიას მიღწევები. მან გამოიმუშავა ახალი წესები, რამაც უზრუნველყო ჰექტარზე 11 ტონა ჩაის ფოთლის მიღება. სარსანია წელს ჰექტარზე 16-18 ტონა ჩაის ფოთლის მოსავლისათვის იბრძვის.

ასეთივე წარმატება გვიჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატმა, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ჩოქოლი ქვაჩახიამ. მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით მან სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანა—ჰექტარზე 100 ცენტნერი. ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს სტახანოველი ქვაჩახია კიდევ უფრო მეტ წარმატებას, სარეკორდო მოსავალს გვპირდება.

საუცხოოდ მუშაობს ალაზნის მტსის ორდენოსანი კომბაინერი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ლაზარიაშვილი. მან გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარის ნაცვლად მოსავალი 600 ჰექტარზე აიღო.

სტახანოველთა შრომა საუკეთესო შედეგებს იძლევა ციტრუსოვანთა მეურნეობებშიც. ათასობით სტახანოველი საუკეთესოდ უვლის ძვირფას ნარგავებს. მეციტრუსეები მტკიცე საფუძველს უყრიან ახალი პლანტაციების გაშენების საქმეს. ლანჩხუთის რაიონის სოფელ აგარაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ევგენი ბერაიამ შარშან ერთ დღეს 5.650 ძირი ციტრუსი დაამყნო, წელს კი—6.777 ძირი და დღიური დავალება 1.694 პროცენტით შეასრულა.

შაქრის ჭარხალი საქართველოს კოლმეურნეობებში ახალი, მაგრამ ძვირფასი შრომატევადი კულტურაა. ჩვენი კოლმეურნეები ჭარხლის სარეკორდო მოსავალს იღებენ. გორელმა კოლმეურნემ ანა ხმიადაშვილმა შარშან ჰექტარზე 1.229 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა (კოლმეურნეობის საშუალო მოსავლიანობა კი ჰექტარზე 150 ცენტნერს არ აღემატებოდა). წელს ა. ხმიადაშვილის პლანტაცია ისე კარგად არის მოვლილი, რომ მოსალოდნელია მოსავალმა 1.300 ცენტნერსაც გადააჭარბოს. როგორც გორის, ისე ხაშურის, კასპის და სხვა რაიონებში ამჟამად ასობით ჰექტარი შაქრის ჭარხალი სტახანოვურია.

რესპუბლიკას ჰყავს ჩაის კრეფის საუკეთესო ოსტატები. მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა შურა ჩხაიძემ ერთ დღეს 16 კილოგრამის ნაცვლად 526 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა და დღიური დავალება 3.000-ზე მეტი პროცენტით შეასრულა. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ლუთბიე ვასაძე უზრუნველყოფს რგოლში ყველა გეგმის წარმატებით შესრულებას. ამავე დროს იგი ყოველდღიურად ჩაის ფოთლის კრეფის ნორმას ერთიოთხად და ერთიხუთად ასრულებს. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ჰურიე ნაკაშიძემ ერთ დღეს 101 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა. მისი მაგალითის მიხედვით მრავალი კოლმეურნე დაწინაურდა: მერიე დისამიძემ დღეში 70 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფა, ჰურიე ცენტერაძემ—60, ლაბიე მანელიშვილმა—75 კილოგრამი.

სტახანოველთა თავდადებული შრომის ნიმუშები მრავალია მევენახეობაში, მებაღეობაში, მეცხოველეობაში—სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

ჩვენი ამოცანაა ფართოდ გავავრცელოთ სტახანოველთა მდიდარი გამოცდილება, ვამრავლოთ მოწინავეთა რიგები და სასახელოდ შევასრულოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების დიადი სტალინური პროგრამა.

ტ. თოდრაძე

მეოთხე ხუთწლედის მოწინავენი

ჭიათურაში ბევრი წარჩინებული სტახანოველია. თავდადებული შრომით სახელმოხვეჭილი გახდნენ კალენიკე ლავთაძე, პავლე მიროტაძე, სერგო ოთინაშვილი, ტრიფონ ფოფხაძე, პლატონ ბოყოველი. მათ მკერდს ამშვენებს ლენინის ორდენი. სტახანოველმა პავლე მიროტაძემ წელს ქვეყანას 7.000 ტონა მარგანეცი მისცა. მან კარგა ხანია შეასრულა წლიური გეგმა. მომავალი წლის დავალებაზე მასთან ერთად მუშაობენ კალენიკე ლავთაძე და სერგო ოთინაშვილი.

ბევრი დემობილიზებულია ჭიათურაში. სვირელი ჭაბუკი კონსტანტინე ცუცქირიძე დეკემბერში დაბრუნდა არმიიდან. იგი ოთხ წელს იცავდა სამშობლოს, იბრძოდა ჭალარა კავკასიონის მისადგომებთან, ყირიმში, უკრაინის ველებზე. კონსტანტინე მამაცური ბრძოლით გამოირჩეოდა ფრონტზე. იგი ოთხი ორდენისა და მედლის კავალერია. შეუპოვარი ბრძოლების ქარცეცხლში ამხ. ცუცქირიძე კომუნისტი გახდა. ერთი თვე თუ დაისვენა კონსტანტინემ და სტალინის სახელობის მაღაროში დაიწყო მუშაობა. ამწმენდობა ირჩია. სანგრევში ისევე ენერგიულად დაიწყო მუშაობა, როგორც ერთგულად და შეუპოვრად იბრძოდა ფრონტზე. ამხ. ცუცქირიძე ცვლაში 30 ტონაზე მეტ მარგანეცს იძლევა, დავალებას 180 პროცენტით ასრულებს. მან უკვე შეასრულა წლიური გეგმა. ამხ. ცუცქირიძის თვიური გამომუშავება 3.000 მანეთს აჭარბებს.

საუკეთესოდ მუშაობს დემობილიზებული ალექსანდრე სამხარაძე. ის იბრძოდა ბელგრადის განთავისუფლებისათვის, მონაწილეობდა ბუდაპეშტის აღებაში. ამ ბრძენ და ჯანიონით სავსე ვაჟკაცს მარგანეცის ქანებიც ვერ უძლებს. ამხ. სამხარაძე სტახანოვური შრომის ოსტატია. დავალებას 180-200 პროცენტით ანაღდებს. პატიოსანი და თავდადებული შრომით მაღაროელთა პატივისცემა დაიმსახურა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ბელადის სახელობის მაღაროს სტახანოველები არსენ ძინძიბაძე და გიორგი გიორგაძე.

ამხ. ძინძიბაძე ამწმენდი ბრიგადირია. დავალებას ორმაგად ასრულებს. სურს მის გვერდში მომუშავეც არ ჩამორჩეს, ყველა კარგად მუშაობდეს. არსენი კიდეც აღწევს ამას. მისი ბრიგადა ყოველთვის წინ მიდის. მუყაითი და შრომისმოყვარე ბრიგადირი „შრომის წითელი დროშის" ორდენით დააჯილდოვეს.

გიორგი გიორგაძე ახალგაზრდაა, მაგრამ ისე დაეუფლა მარგანეცის ამწმენდის ოსტატობას, რომ ბევრ გამოცდილ ძველ მუშას სჯობნის. დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებს, გეგმის გადაჭარბებით იძლევა მაღალხარისხოვან მარგანეცს.

ლენინის სახელობის მაღაროში ყველას უსწრებს ამწმენდი გიორგი ცუცქირიძე. მეორე წელია მან განაახლა ჭიათურაში მუშაობა. წელს სამშობლოსათვის უნდა მიეცა 5.679 ტონა მარგანეცი, უკვე მისცა 6.243 ტონა. ამხ. ცუცქირიძე იბრძვის 1947 წლის გეგმის შესრულებისათვის. — რადაც უნდა დამიჯდეს, — ამბობს ამხ. გიორგი, — მეოთხე სტალინური ხუთწლედის დავალება ორნახევარი წლის მანძილზე უნდა შევასრულო. იგი ამ პირობას უსათუოდ გაანაღდებს.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროდან ახალ სტახანოველთა შორის დავასახელებთ დემობილიზებულებს დავით ჭილაძეს, ლევანტი ბრეგვაძეს და ახალგაზრდა ვახტანგ გაფრინდაშვილს. ისინი ენერგიულად იბრძვიან მეტი მარგანეცისათვის.

რამდენიმე სიტყვა კორნელი ბარბაქაძეზე. იგი ჭიათურის წარჩინებული ხარატია. უფროსმა ძმამ შეასწავლა ხარატობა. კორნელიმ ისე შეიყვარა თავისი პროფესია, დაზგა, რომ თითქმის ტოლი არა ჰყავს ჭიათურაში. ხუთ დაზგას მართავს და დავალებას 400-500 პროცენტით ასრულებს. კორნელი რაციონალიზატორია. სახარატო დაზგაზე მოაწყო სპეციალური საჭრისები, რითაც საგრძნობლად დაჩქარდა წარმოების პროცესი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ეს თავდადებული, შრომისმოყვარე ადამიანები უდიდესი წარმატებებით ხვდებიან სტახანოვური მოძრაობის წლისთავს. იბრძვიან მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სტახანოვური შრომის ოსტატებს!

პ. ფიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ოსტატი და მისი ბრიგადა

ეს იყო 1942 წელს...

ამიერკავკასიის რკინიგზის ლიანდაგზე ჯავშნიან მატარებელ „საბჭოთა საქართველოს" ცდიდნენ. ღელავდნენ ოსტატები, რომელთა ხელიდანაც გამოვიდა მტრის შემმუსვრელი ჯავშნოსანი. ბუნებრივი იყო ზეინკალ ვარლამ ბეჟუაშვილის აღელვებაც, რადგან მას ცოტა პასუხისმგებლობა როდი აწვა. მან ააწყო მატარებლის ურთულესი მექანიზმები.

ბუნებრივი იყო ბეჟუაშვილის სიხარულიც, როცა ჯავშნიანმა მატარებელმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა...

ამჟამად ვარლამი საელმავლო საამქროს საპარატურო განყოფილების ბრიგადირია. მისი ბრიგადა სამამულო ომის წლებში მაღალ მაჩვენებლებს იძლეოდა, იყო შემთხვევები, როცა ბრიგადა ათასზე მეტი პროცენტით ასრულებდა თვიურ დავალებას. ბეჟუაშვილის ბრიგადამ მიმდინარე წლის გეგმა ექვს თვეში 106 პროცენტით შეასრულა. სტახანოვური შრომით თავი ისახელეს ზეინკლებმა ვ. ფაგენკომ და ვ. დევსურაშვილმა.

ვარლამ ბეჟუაშვილმა მრავალი ზეინკალი გამოზარდა. დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალი მომთხოვნელობა და გულისხმიერება,—აი რა სულისკვეთებით ზრდის იგი ახალგაზრდა კადრებს.

ათ წელზე მეტია ბეჟუაშვილი მოწინავე სტახანოველის საპატიო სახელს ატარებს. ამ ხნის განმავლობაში მან მთავრობის მრავალი ჯილდო დაიმსახურა.

ბეჟუაშვილმა ბევრი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა ქარხანაში. მისი წინადადებით დამზადდა მოწყობილობა გოგორწყვილების ღერძიდან გორგოლაჭიან საკისართა რგოლების გამოსაწნეხავად, რაც ორჯერ ამცირებს სამუშაო დროს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა.

რკინიგზელთა სრულიად საკავშირო დღეს ბეჟუაშვილმა ვალდებულება აიღო ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულოს და ხუთ ახალგაზრდას შეასწავლოს ზეინკლობა.

ამ ვალდებულებას სახელგანთქმული ოსტატი ვარლამ ბეჟუაშვილი კიდევაც შეასრულებს.

ი. უბილავა

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲨᲐᲚᲝᲜ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲜ ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲦᲠᲛᲔ-ᲡᲘᲒᲐᲜᲘᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲚᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

რაციონალიზატორი ზეინკალი

1934 წელი სასიხარულო თარიღია არტემ ბენდიანიშვილის ცხოვრებაში. ამ წელს მიიღეს იგი სამუშაოდ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში. მუყაითი შრომით არტემმა ამწყობი საამქროს მუშათა შორის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ახლა მეექვსე თანრიგის ზეინკალია და თავისი რაციონალიზატორული წინადადებებით ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

წინათ „დიპ—300" დაზგის ერთ-ერთი მძიმე ნაწილის აწევა და სათანადო ადგილას მორგება ხდებოდა სპეციალური ამწეს საშუალებით, რასაც 6 საათი უნდებოდა. ამხ. ბენდიანიშვილმა ეს დრო სამი საათით შეამცირა. დგამის თარაზოში გასწორებას 3 საათი უნდებოდა. ბენდიანიშვილის წინადადების განხორციელების შემდეგ ეს რთული საქმე ერთ საათში კეთდება. სტახანოველ ზეინკალს საათის მექანიზმივით აქვს აწყობილი თავისი საქმე. გეგმების შესრულებაში იგი მოწინავეა. გამოჩენილმა სტახანოველმა ივლისის საწარმოო დავალება 427 პროცენტით გაანაღდა. მისი საშუალო თვიური გამომუშავება 2 ათას მანეთს აჭარბებს. კიდევ უფრო მაღალნაყოფიერი იქნებოდა მისი შრომა, მექანიკური საამქრო ყოველთვის ზუსტად რომ აკეთებდეს დაზგის დეტალებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით სტახანოველი ბენდიანიშვილი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. მთავრობის ამ საპატიო ჯილდოთი აღფრთოვანებული, იგი სტახანოვურ ვახტზე დადგა, ავტოსარემონტო და დიმიტროვის სახელობის ქარხნების სტახანოველებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და პირველ ადგილზე გამოვიდა.

კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი ამაყობს ამ მოწინავე ადამიანის შესანიშნავი მიღწევებით.

ი. სულამანიძე

ნარჩინებული მეტალურგები

1934 წლის მაისის დილას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კარები ფრთხილად შეაღო ჯანღონით სავსე ჭაბუკმა აკაკი ბიწაძემ. მას ხელში განცხადება ეკავა.

— დიდი სურვილი მაქვს გავხდე მეტალურგი, — სწერდა აკაკი განცხადებაში, — გთხოვთ მიმიღოთ სამუშაოზე. ჩემს ახალგაზრდულ ენერგიას არ დავიშურებ, რომ თავი გამოვიჩინო კარგი მუშაობით.

ბიწაძე მიიღეს ქარხანაში. მან მალე აითვისა მეტალურგის რთული პროფესია. სტახანოვური მოძრაობის გარიჟრაჟზე აკაკიმ სტახანოველის საპატიო სახელი მოიხვეჭა. როგორც საუკეთესო სტახანოველი, ახალ, რთულ პროფესიათა ასათვისებლად 1936 წელს ზაპოროჟიეს მეტალურგიულ ქარხანაში მიავლინეს, ხოლო იქიდან 1939 წელს ჩელიაბინსკის მეტალურგიულ კომბინატში გაგზავნეს, სადაც სამამულო ომმა მოუსწრო.

აკაკი ჩელიაბინსკიდან მოხალისედ წავიდა წითელი არმიის რიგებში. საბრძოლო ნათლობა 1942 წელს უკრაინაში მიიღო. 1944 წლის 19 სექტემბერს კარპატის მთებში ერთ-ერთი სასტიკი ბრძოლის დროს ვერაგი მტრის ყუმბარის ნამსხვრევმა სახელოვან მეომარს მოსწყვიტა მარცხენა მკლავი. იგი იძულებული გახდა საბრძოლო წყობიდან გამოსულიყო.

ნაომარი ვაჟკაცი 1945 წელს კვლავ თავის საყვარელ პროფესიას დაუბრუნდა ქარხანაში. მარგანეცის საამქროს ერთ-ერთი ცვლის უფროსად დანიშნეს. სამამულო ომის მონაწილე, რომლის მკერდს მთავრობის სამი ჯილდო ამშვენებს, ინვალიდობის მიუხედავად, სტახანოვური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. ისეთ მძიმე და რთულ სამუშაოზე მეტალურგიაში, სადაც აკაკი მუშაობს და სადაც გეგმის მხოლოდ 102 პროცენტით განაღდება სტახანოველობის ნიშანია, ბიწაძის ცვლამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება 129 პროცენტით გაანაღდა. აგვისტოს ორი დეკადის გეგმა ცვლას 132 პროცენტით აქვს შესრულებული.

ქარხანაში სტახანოვური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან აგრეთვე ხარობი საამქროს ოსტატები — დემობილიზებულები პ. მოდებაძე და ნ. ჭაჭიაშვილი. ელექტროდების საამქროს დამხმარეთა ა. პრომაძე. ისინი ამჟამად შრომობენ ქარხანაში, იბრძვიან მეტი და მაღალხარისხოვანი ლითონისათვის. მათ მაღლა უჭირავთ სტახანოვური შრომის დიადი დროშა.

ს. მუმლაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ხუთწლედის ფონდში

ქუთაისის საწარმოთა მოწინავე ადამიანები ღირსეული მაჩვენებლებით ხვდებიან სტახანოვური მოძრაობის სახელოვან წლისთავს.

აბრეშუმკომბინატის 4-დაზგოსანმა მქსოველმა ელენე ბეიიძემ 8 თვეში 10 თვის გეგმა შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამომუშავებული 1.000 მეტრი ქსოვილი მან ახალი ხუთწლედის ფონდში შეიტანა. მაღალნაყოფიერად იმუშავეს მქსოველებმა ს. დეიაძემ, ლ. ახალაძემ, გ. ჯოხაძემ და ა. შავგირაძემ, რომლებმაც ხუთწლედის ფონდს ათასობით მეტრი ქსოვილი შესძინეს.

კომბინატის წარჩინებულმა ხარატმა, დემობილიზებულმა ა. ზაქარიაძემ მეოთხე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა სტახანოვური მოძრაობის დღის აღსანიშნავად 23 აგვისტოსათვის შეასრულა.

დაწინაურდნენ მაუდის ფაბრიკის ფეიქრებიც. ორდენოსან მქსოველ თ. მესხს, რომელიც საფეიქრო საქმის კვალიფიციური ოსტატია, ხუთწლედის პირველი წლის 8 თვის დავალება 166,9 პროცენტით აქვს შესრულებული. მის მიერ გამომუშავებული 8.284 მეტრი ქსოვილი უმაღლესი ხარისხისაა. ახალგაზრდა სტახანოველმა შ. წოწორიამ 8 თვის გეგმა 164 პროცენტით გაანაღდა და თავისი პროფესია ორ ახალმოსულს შეასწავლა. გასულ წელს ფაბრიკაში 150-მდე სტახანოველი იყო. ახლა მათი რაოდენობა 300 აღემატება.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში დემობილიზებულ ა. გაგოშიძის ბრიგადამ მთავარ საამქროში ყველას გაუსწრო და მოწინავე ბრიგადებს შორის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ბრიგადამ 8 თვეში 10 თვის დავალება 105 პროცენტით შეასრულა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 40 პროცენტით გაადიდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბრიგადაში 22 კაცის ნაცვლად 14 მუშაობს.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სასამართლო პროცესი ანტისაბჭოთა თეთრგვარდიული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, იაპონიის დაზვერვის აგენტების ატამან სემიონოვის, როძაევსკისა და სხვების საქმეზე

27 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ სემიონოვის დაკითხვა.

ბრალდებული ჩვენებას იძლევა იაპონიის სამხედრო მინისტრ არაკისთან თავის შეხვედრათა შესახებ.

— არაკის მე მრავალჯერ შევხვედრივარ, დაწყებული 1918 წლიდან, როცა იგი ხარბინში სამხედრო მისიის უფროსი იყო. შემდეგ შევხვედრივარ მას 1932 წელს, 1936 და, ბოლოს, 1937 წელს, როცა არაკი უკვე უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე იყო. ჩვენ ვარჩევდით სსრ კავშირზე ნავარაუდევი სამხედრო თავდასხმის გეგმებს.

ბრალდებული იძლევა ჩვენებას თავის შეხვედრებსა და საუბრებზე იაპონიის ხარბინის ცენტრალური სამხედრო მისიის უფროსთან გენერალ ანდოსთან, რომელიც დაირენში ჩამოდიოდა. ეს შეხვედრები მოხდა ხასანის ტბის ამბებზე ცოტა ხნით ადრე.

— გენერალმა ანდომ მითხრა, — აჩვენებს სემიონოვი, — უახლოეს ხანში ნავარაუდევია შეიარაღებული ...

ბრალდებულის უხეირო ფანდებს და სასამართლოს წარუდგენს ორ ხელწერილს—1945 წლის 20 მაისისა და 20 ივნისის თარიღით ხელმოწერით „ატამანი სემიონოვი“. თვითეული ხელწერილი 1.000 იენის მიღებაზეა. ასეთი ხელწერილებით სემიონოვი ყოველთვიურად იღებდა ფულს. სემიონოვი ადასტურებს, რომ იაპონიის დაზვერვისაგან ფულის მნიშვნელოვან თანხებს იღებდა.

სასამართლოში ქვეყნდება 1938-დან 1940 წლამდე იაპონიის დაირენის სამხედრო მისიის ყოფილი უფროსის იასუეს ჩვენება. ამ ჩვენებით ირკვევა, რომ სემიონოვმა იაპონიის დაირენის სამხედრო მისიას გადასცა ცნობები ვლადივოსტოკში საბჭოთა წყალქვეშა ფლოტის მდგომარეობის, წყალქვეშა ნავების რაოდენობისა და მათი მოწყობილობის შესახებ. შემდეგ, კვანტუნის არმიის შტაბის მითითებით, სემიონოვმა იასუეს მეშვეობით მიიღო დავალება და გადასცა მასალები გზატკეცილისა და რკინიგზის შესახებ, რომლებიც ციმბირში შენდებოდა.

იასუეს ჩვენებას ბრალდებულიც ადასტურებს.

...

პროკურორი: ვინ და რა მიზნით შექმნა „ბრემი“ (რუსეთის ემიგრანტთა საქმეების ბიურო)?

ბრალდებული: „ბრემი“ კვანტუნის ...

ამით მთავრდება 27 აგვისტოს დილის სხდომა. (საქდესი).

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. (საქდესი). უშიშროების საბჭოს გუშინ საღამოს შემდგარ სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია სხვადასხვა ქვეყნების მიმართვების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათი მიღების შესახებ.

პირველი გამოვიდა გრომიკო. მან განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ამერიკის დელეგატის მიერ შეტანილი იმ წინადადებისა, რომ უშიშროების საბჭომ ურჩიოს გენერალურ ასამბლეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღოს ყველა რვა სახელმწიფო, რომლებმაც განცხადებები შემოიტანეს. ეს წინადადება არასწორია პროცედურის თვალსაზრისით. უშიშროების საბჭოს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რვა სხვადასხვა საქმეზე, თითქოს ისინი ერთ მთლიანობას შეადგენდნენ. არ შეიძლება ასე ხელაღებით მივუდგეთ ქვეყნებს.

ავსტრალიის დელეგატმა ჰეზლაკმაც აზრი გამოსთქვა ამერიკის წინადადების წინააღმდეგ.

ჩინეთის დელეგატმა სიამ მხარი დაუჭირა ამერიკის რეზოლუციას. მაგრამ განაცხადა, რომ, თუ უშიშროების საბჭომ ეს რეზოლუცია არ მოიწონა, მაშინ ჩინეთი უფლებას იტოვებს განიხილოს თვითეული განცხადება ამათუიმ ქვეყნის დამსახურების მიხედვით.

ინგლისის დელეგატმა კადოგანმა განაცხადა, ინგლისს ეჭვი ეპარება, რომ ყველა ქვეყანა, რომელმაც განცხადება შემოიტანა, მიღების ღირსი იყოს. ამიტომ ამერიკის წინადადება ზოგიერთ სიძნელეებს უქმნის ინგლისის დელეგაციას. მაგრამ, განაცხადა კადოგანმა, საბჭოში გამართული დისკუსიიდან ჩანს, რომ ამერიკის წინადადება ხმების საჭირო რაოდენობას ვერ შეაგროვებს. ამიტომ ინგლისი უფლებას იტოვებს დისკუსიის დროს შემდგომი შენიშვნები გააკეთოს ზოგიერთი ქვეყნის განცხადებათა გამო.

...

ამის შემდეგ საბჭომ მოუსმინა საბერძნეთის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დენდრამისს. იგი გამოვიდა ...ლი სიტყვით, რომელშიც გაიმეორა წინა... ბრალდებანი ალბანეთის მიმართ. დენდრამის... დაჟინებით მოითხოვდა, რომ უშიშროების ს...ჭომ გადასდოს ალბანეთის განცხადების ...ხილვა. ამის შემდეგ თავმჯდომარე ლან... სხდომა დახურა და გამოაცხადა, 29 აგვის... საბჭოს დილის, დღისა და საღამოს სხდომ... ექნებათ.

იუგოსლავიის ათენელი ელჩის განცხადება

ბელგრადი, 29 აგვისტო. (საქდესი). ბელგრადის გაზეთებში გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც იუგოსლავიის ათენელმა ელჩმა ცანკარმა გაუკეთა ბერძნული გაზეთის „ელევთერიას“ თანამშრომელს საბერძნეთიდან თავისი წამოსვლის მიზეზების შესახებ. ცანკარმა აღნიშნა, რომ განსაზღვრული დროის მანძილზე საბერძნეთში „სწარმოებს იუგოსლავიისათვის ცილისწამებისა და უხეში შეურაცხყოფის სისტემატური კამპანია“, ხოლო ამ კამპანიაში ინ...ფორმაციის სამინისტროც მონაწილეობს. შემ...ცანკარმა განაცხადა, რომ იუგოსლავიის მთ...რობის ცდები — მიეღწია ურთიერთობის ნო...მალიზაციისათვის — უშედეგო აღმოჩნდა.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, დაბრუნდ... იგი უკან თუ არა, ცანკარმა უპასუხა: „ეს ...მოკიდებულია ჩვენი ურთიერთობის განვით...რებასა და ჩემი მთავრობის გადაწყვეტ...ბაზე“.

ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს გადაწყვეტილება

ლონდონი, 28 აგვისტო. (საქდესი). ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ გადასწყვიტა მიმართოს საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინს და გამოსთქვას მის წინაშე თავისი შეშფოთება საბერძნეთში ...მად არსებული მდგომარეობის გამო, ...სთხოვს მას მიიღოს დელეგაცია ამ საკით... განსახილველად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკაბინეტში

31 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ჩატარდება ამხ. ნოლიანისის კონსულტაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (მთაწმინდა)

1 სექტემბერს

ესტრადაზე **კონცერტი**, მონაწილეობენ: მერი ნაკაშიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ვ. ბრაგინი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ძაგნიძე-ჩხიკვაძე, კატერინსკი და სხვები.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

სამკითხველო დარბაზში დოცენტ ე. ვასაძის მოხსენება „ადამიანის წარმოშობა“. დასაწყისი საღამოს 7½ საათზე.

დასწრება თავისუფალია.

საცეკვაო მოედანზე

დასავლეთ ევროპული ცეკვები ჯაზის თანხლებით. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

პარკში უკრავს სასული ორკესტრი. მუშაობს საქანელა, კარუსელი, ტირი და სხვა გასართობები. ღიაა კაფე-რესტორანი და პავილიონები.

დღის 1 საათიდან საბავშვო სეირნობა

3 სექტემბერს დიდი სეირნობა, მიძღვნილი იაპონიაზე გამარჯვების დღისადმი.

ლ ე ქ ც ი ა

31 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტში.

მოქალაქე **შალვა ვარლამის-ძე ჯაფარიძემ**, მცხოვრებმა ბარათაშვილის შესახვევი № 1, აღძრა საქმე თბილისი, შესახვევი № 1, მცხოვრებ მოქალაქე **ნინო კირილეს-ასულ ჯაფარიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

ამხანაგები შოთა ჭანუყვაძე და ვასო ლოლაძე ოჯახებით მწუხარებას გამოსთქვამენ საქართველოს კ. პ. ქობულეთის რაიკომის მეორე მდივნის მემედ თხილაიშვილის გარდაცვალების გამო.

ოჯახი იუწყება მარო შოშიტაიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/VIII, 7 ს. გასვენება 1/IX, 5 ს. გრიბოედოვის, 35.

ოჯახი იუწყება ვასილ ივანეს-ძე მელიქიშვილის გარდაცვალებას. გასვენება 31/VIII, 6 ს. ბათუმის, 2.

ოჯახი იუწყება მოსე ზაალის-ძე ჯალიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/VIII, 7 ს. გასვენება 1/IX, 3 ს. ბაქრაძის, 4.

ტირაჟი 110,000. უე 00094

ლ. 3. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.